დავით აღმაშენებლის გამზირი №178, სასტუმრო "იბისი"

ახალი დაშენების სამი ვარიანტის განხილვა (დასკვნა)

ვარიანტი 1 – "ნეიტრალური"
ვარიანტი 2 – "თანამედროვე"
ვარიანტი 3 – "მანსარდა"

წინათქმა

წინამდებარე დასკვნაში ობიექტის მესაკუთრის და პროექტის ავტორების თხოვნით განხილულია დავით აღმაშენებლის გამზირი №178 (სასტუმრო "იბისი") შენობის რეკონსტრუქციის ახალი ვარიანტები (ვიზუალიზაცია) და აღწერილია თუ რომელი ვარიანტი "უფრო მომწონს". რა თქმა უნდა, გამსაზღვრა "მომწონს - არ მომწონს" - მხოლოდ ემოციაა. ხოლო ემოცია ძალზე სუბიექტური გაგებაა. თუმცა ვფიქრობ, რომ ნებისმიერ შემოქმედებით სფეროში პირველი დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილება რაიმე ნამუშევარზე ასე თუ ისე ემყარება გამოცდილებას და განსაზღვრულ პროფესიონალურ ცოდნას...

პირველივე შეხედულებით **ვარიანტი 3, "მანსარდიანი'** არ მომეწონა. მიუხედავათ იმისა, რომ აღმაშენებლის გამზირზე ბევრი "მანსარდიანი" შენობაა... შევეცდები აგიხსნათ რატომ:

- მე ვერ ვგუობ არქიტექტურაში ნებისმიერ "ტყუილს". "ფალშ", "ყალბი" არქიტექტურა თავს იჩენს თავდაპირველ ემოციებში. ამ ვარიანტში ის, რომ მანსარდა "ყალბია", აღიქვავს ხედვა, რომელიც ქვეცნობიერად განსაზღვრავს შენობის პროპორციას – მისი სიგანეს და სახურავის სიმაღლეს. "ხედვა" თვითონ ითვლის ყველა პროპორციას. საქმე ის არის, რომ სახურავის ("მანსარდის") მითითებულ დახრაზე და შენობის ასეთ სიგანეზე, რომელიც კარგად ჩანს მუს-კომედიის თეატრის მხრიდან - ნამდვილი მანსარდა (რომელიც, როგორც წესი, უნდა მოეწყოს სხვენში) არ შეიძლება იყოს. ანუ ეს ჩვეულებრივი სართულია, ამასთან დიდი ფართის მქონე ბრტყელი სახურავით (ან სახურავი ძალიან პატარა დახრით). ბრტყელი სახურავი კი მანსარდის სართულზე აბსურდია. უცნაურია, თუმცაღა უკანასკნელ ხანს ეს მეთოდი ხშირად არის გამოყენებული ახლანდელ არა ყოველთვის "მართალ" არქიტექურაში. გამოდის, რომ "ახალი", "ჩვეულებრივი" სართულის პერიმეტრი ყალბად არის დამუშავებული "მანსარდით". მაშინ ლოგიკურია - ესეიგი მართალი - მოეწყოს ერთი დამატებითი, მაგრამ "ჩვეულებრივი", სართული;
- ესთეტიკური თვალსაზრისით: დამტკიცებულ პროექტში "ძველი" მოცულობა-ძეგლზე უკანა მხრიდან სრულიად თანამედროვე, მოდერნისტული მოცულობის მიდგმა "სუფთაა" და ლოგიკური. ამ დროს, როდესაც ახალ, "მანსარდიან" ვარიანტში აშკარად ჩანს, რომ შენობა-ძეგლი უკვე გვიანდელი, სხვა სტილის "გადაკეთებით", რომელიც თავისთავად არალოგიკურია - ესეიგი ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თუ ახალი სართულის "დაშენება" რაიმე (ჩემთვის უცნობი) მიზეზის გამო სავალდებულოა, მაშინ ახალი სართული უნდა იყოს აუცილებლად თანამედროვე (რა თქმა უნდა - ნებისმიერ სტილის). რაც იქნება

უფრო "მართალი". შესაძლებელია ეს გააკეთოს ძალიან კარგად. ხოლო მე დამტკიცებული ვარიანტი ესთეტიკაში და პროპორციებშიც სრულად საკმარისად მიმაჩნია...

უპირობოდ, ***ვარიანტი 2, "შემინული"***, **მომწონს სხვებზე მეტად**.

არგუმენტები (განსხვავება ორ სხვა ვარიანტისაგან):

- "ძველ" შენობა-ძეგლზე საპროექტო დაშენების "თანამედროვე" გარე სახის არქიტექტურულ-სტილისტური გადაწყვეტა საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ნაწილში განლაგებული ობიექტის კონვერსიის პროექტირების მაღალ ხარისხიან მაჩვენებელს;
- "ძველ" შენობა-ძეგლზე საპროექტო "დაშენების" გარე სახეზე სამუშაო ზონის და "მომსახურე" ზონის (კიბის უჯრედი) ბლოკები აშკარად გამოყოფილია. რაც ასევე ითვლება კარგ მაჩვენებლად "მართალი" პროექტირებისა, როცა ობიექტის შიდა შინაარსი აისახება მის გარე სახეზე;
- "ძველ" შენობა-ძეგლის ბოლო (საპროექტო) სართულის "თანამედროვე" არქიტექტურულ-სტილისტურ გადაწყვეტას არ შეყავს მაყურებელი შეცდომაში ამ "დაშენების" მშენებლობის "პერიოდზე" (განსხვავებით შენობის არსებული, 2011 წელს დაშენებული მესამე სართულისა) - რითაც ამაღლებს შენობა-ძეგლის კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებას და "პრესტიჟს";
- "ძველი" შენობა-ძეგლის ბოლო (საპროექტო) სართულის აშკარად კონტრასტული არქიტექტურულ-სტილისტური გადაწყვეტა და მისი შედარებით "სიმსუბუქე" ვიზუალურად არ "ზრდის", ინარჩუნებს უკვე არსებულ, შენობა-ძეგლის მოცულობას - რაც მნიშვნელოვანია უკვე ჩამოყალიბებული მოცულობითი სტრუქტურისათვის გარემომცველი შენობების აღმაშენებლის გამზირის მხრიდან.

ვარიანტი 1, "ნეიტრალური"

– საპროექტო "დაშენების" გვერდითი მხარე (მუსიკალური კომედიის თეატრის მხრიდან), რომელიც შესრულებულია სუფთა აგურის წყობით, კლავს შენობა-ძეგლის და ახალი კორპუსის "აგურის მოცულობების" კარგ შეთანწყობას - რაც ვიზუალურად აქვეითებს ობიექტის საერთო არქიტექტურული გადაწყვეტის ხარისხს.

შენიშვნა:

- მაინტერესებს, ამ ახალ დაშენებაზე გათვალისწინებულია თუ არა ობიექტის კონვერსიის საინჟინრო ქსელების დანადგარები;

- მას შემდეგ, როგორც კი მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება ახალი დაშენებისა "ძველ" შენობა-ძეგლზე და არჩეული იქნება სამი წარმოდგენილი ვარიანტიდან ერთი – "მუშა პროექტის" შესრულების პროცესში სავალდებულოა უფრო დაწვრილებით დამუშავდეს ამ დანაშენის ფასადის ზოგიერთი დეტალი.

რქიტექტორი – ალა პროზოროვა

02. 2019

allaprozorova@yahoo.com

+995 599 968130